ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 28 ოქტომბერი № 1624

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლოზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✡ ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და ამუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (ნ. 0—23)

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1

რედაქციისაგან.

გვახსენებთ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი — დროით წარმოადგინონ.

ვეფხის-ტყაოსანი
სცენები
შოთა რუსთაველის
პოემიდან, რუსულად შედგენილი რ. ვინგარის-მიერ სურათებით. ფასი 1 მან.
საწყობი—ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში. ისყიდება იქვე და ხიდეკელის მაღაზიაში (50—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა
დილით:
ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ა. ნ. ზატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.
ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.
ი. დ. ბეშთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ

დღეს არის დანიშნული „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება. ბევრნი უსაყვედურებენ საზოგადოების გამგეობას, არას აკეთებსო და უმოქმედოაო. წლიური ანგარიშიდანაც სჩანს, რომ „საზოგადოების“ მოქმედება მაინცა და მაინც განცხოველებული არ იყო. ჩვენ არ ვიცით ნამდვილი მიზეზი ამ უმოქმედობისა — ამისათვის, ვიდრე საყვედურს გამოუცხადებდეთ „საზოგადოების“ გამგეობას, საჭიროა დაბეჯითებით ვიცოდეთ: ხელს უშლიდნენ გამგეობის მოქმედებას რამე პირობები, თუ იგი არც კი სცდილა და განზრახვადაც არა ჰქონია საქმის გამოცოცხლება. ძველი გამგეობის მოქმედების დაფასება მხოლოდ ამისდა მიხედვით შესაძლებელია. ხოლო „საზოგადოების“ მორიგ კრებაზე სხვა კითხვების აღძვრაც არის საჭირო. რა საშუალებით შეიძლება „საქმის“ გამოცოცხლება და რაზე უნდა იყოს მიქცეული ახალი გამგეობის ყურადღება? წლიურ ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულ წლებშიაც არა ერთხელ ჰქონიათ ლაპარაკი სკოლების რევიზორის თანამდებობის დაარსების შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ სკოლების რევიზია აუცილებელია, რადგან რევიზორი, გაეცნობა რა ჩვენი სკოლების ღირსება ნაკლულევანებათ, შეძლების დაგვარად გააუმჯობესებს სწავლის საქმეს. ამ კითხვის გადაწყვეტა აუცილებელია დაუყოვნებლივ.

მეორე არა ნაკლებ საყურადღებო კითხვა, რომელზედაც უნდა იყოს მიქცეული „კრების“ ყურადღება—ბედკრული რომანაშვილის ფოტოგრაფიაა, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ეკუთვნის. ანგარიშიდან სჩანს, რომ ფოტოგრაფიას წარსულ წელს 859 მან. 34 კაპ. ზარალი მოსვლია. თუმც ამავე ანგარიშიდან სჩანს, რომ 1899 წ. ფოტოგრაფიამ მისცა საზოგადოებას წმინდა მოგება 503 მან. 87 კ., მიუხედავად ამისა ჩვენ გვეშინიან, რომ მომავალ წელშიაც არ მოუვიდეს საზოგადოებას წლევანდელისთანა ზარალი. ჩვენ გვგონია, რომ ხიფათის ასაცილებლად უმჯობესია ფოტოგრაფია იჯარით გაიცეს. საზოგადოებას სხვაც ბევრი რამ აქვს საზრუნავი და საფიქრებელი. მხნეობა და ძალ-ღონე თავის პირდაპირ დანიშნულებას მოანდომოს და სახიფათო ოპერაციებს ნუ გამოუდგება.

არა ნაკლები ყურადღება უნდა იქცეს წიგნებით ვაჭრობის საქმეს. წარსულ წელს საზოგადოებას დარჩა წიგნებით ვაჭრობიდან 1917 მან. 48 კაპ. წმინდა მოგება. საჭიროა განმარტება იმისი, თუ რამდენად შესაძლოა წიგნების ვაჭრობის გაფართოება. „საზოგადოების“ მაღაზიამ უნდა იკისროს რუსულ წიგნების (სახელმძღვანელოების) ყიდვაც. წინდაწინვე ვერ ვიტყვით, რასაკვირველია, რამდენად მომგებიანი იქმნება ეს საქმე. ხოლო გამოცდა კი საჭიროა, მით უმეტეს, რადგან საქმის მოწყობა ისე ნაირად შეიძლება, რომ საზოგადოებამ ზარალი არ ნახოს.

შემდეგ ამისა საჭიროა გამორკვევა „საზოგადოების“ ნივთიერ საშუალებათა გამდიერების კითხვისა, რადგან ამაზეა დამყარებული რევიზორის, წიგნების გამოცემის, წიგნთ საცავების დაარსების და სხვა ამგვარი კითხვები. საზოგადოებას აქვს მიბარებული სხვა-და-სხვა საგანგებო თანხები—მუზეუმისა, სალიტერატურო, რ. ერისთავისა და ბაქრაძისა, სულ 10602 მან. 34 კ. წარსულ წელს სამუზეუმო თანხიდან 220 მან. დ. ბაქრაძის ძეგლს მოახმარეს. აგრეთვე ხმის უმეტესობით წარსულ კრებაზე დაადგინეს: მიეცეს გამგეობას უფლება ისესხოს სალიტერატურო ფონდიდან წიგნების გამოსაცემლად საჭირო თანხა. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, საგანგებო თანხები ხელ-უხლებელნი არ არიან. აუცილებლად საჭიროა განსაზღვრა იმისი, რამდენად სასარგებლოა საგანგებო თანხების არა დანიშნულებისამებრ მოხმარება. იტყვიან, უფულობაში მეტი ილაჯი არ არის, რომ არ ვახლოთ ხელი საგანგებო თანხებსაო. ამისათვის აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებულ კომისიის დაარსება, რომელსაც დაევალება ნივთიერ საშუალების აღმოჩენა „საზოგადოების“ ნაყოფიერ მოქმედებისათვის. რაც შეეხება საგანგებო თანხებს, მათი ხარჯვა ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან ამ შემთხვევაში მათ ეკარგებათ განსაკუთრებული თავისი მნიშვნელობა.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს თავისი პირდაპირი დანიშნულება—ხალხში წერა-კითხვის გავრცელება. ჩვენის აზრით, მომავალი გამგეობა მეტის მოფიქრებით უნდა მოეკიდოს სახალხო წიგნების შედგენის საქმეს. კარგი იქნება, რომ გამგეობას ეკისრა მოთავეობა იმ ახალი მთარგმნელ საზოგადოებისა, რომლის დაარსება ბევრს ასე საჭიროდ მიაჩნია. იმედია, რომ უკვე არსებული ამგვარი დაწესებულებანი მხარს მისცემენ ამ ახალ საზოგადოებას და მით სასარგებლო დახმარებას აღმოუჩენენ საზოგადოების გამგეობას იმ შემთხვევაში, თუ იკისრა ამ გამგეობამ ამგვარი მეთაურობა.

საჭიროა აგრეთვე, რომ მომავალმა გამგეობამ მასწავლებლების დანიშვნის კითხვაში, წიგნთ-საცავების დაარსებაში და სხვა ამგვარ საქმეების მოწყობის კითხვებში სრული მიუდგომლობა და თავისუფლება გამოიჩინოს და არ იხელმძღვანელოს „პარტიული“ ინტერესებით. ჩვენ ვაქცევთ ამაზედ კრების ყურადღებას იმ განზრახვით კი არა, რომ შევწამოთ ამგვარი მიდგომილობა ძველ გამგეობას. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ჩვენი ინტელიგენციის დას-დასად დაყოფა შესაძლებლად ხდის ამგვარ მიდგომილობას, მით უმეტესად, როცა გამგეობის წევრნი ერთ ჯგუფს ანუ პარტიას ეკუთვნიან. სრული პატივი უნდა ვსცეთ კაცის „მიმართულებას“ — „მესამე დასელია“ იგი, „არისტოკრატ-ნაციონალისტი“, თუ „ნაციონალისტ-დემოკრატი“. ამისათვის გამგეობის წევრთა არჩევნებშიაც უნდა გამოისახოს საზოგადოების მიუდგომლობა, სხვა და სხვა აზრთა და შეხედულებათა პატივისცემა; ასეთივე პატივისცემა და მიუდგომლობა უნდა გამოიჩინოს საზოგადოებისაგან ამორჩეულმა გამგეობამ «საზოგადოების» საქმეების წარმოებაში.

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

26 ოქტომბერი

მოსკოვი. დღეს ოლქის სასამართლომ გოლდბერგის საქმეზე განაჩენი დაადგინა. გოლდბერგს თავისს ნათლი-დედასთან უცხოვრია; მისი გაცარცვა მოუნდომნია, ამ განზრახვით ნათლი-დედის მოსამსახურე მოუკლავს და სახლისთვისაც ცეცხლი წაუკიდებია. უმთავრესი საბუთი გოლდბერგის გასამტყუნებლად ის იყო, რომ მოკლულ მოსამსახურეს სიკვდილის წინ ექიმისათვის გოლდბერგი დაესახელებინა. ნაფიცმა მოსამართლეებმა გოლდბერგი ორივე საქმეში დამნაშავედ სცნეს. გოლდბერგს 12 წლის კატორღა გადაუწყვიტეს.

ხარკოვი. სამხრეთ-რუსეთის მთა-მადნის მრეწველთა მე-26 კრებაზე მოსამზადებელი კომისიების თავმჯდომარეებად აირჩიეს მადნის ინჟენერები: ავდაკოვი, შიმანოვსკი, ტასკინი, ზიმოვსკი, ფერშნერი, დიტმარი, პოდგაეცკი და გზათა უწყების ინჟენერები: გაევსკი და ფილონენკო. კრებას მდინარე დონეცის ამოწმენდის პროექტი წარმოუდგინეს განსახილველად.

ცარიცინი. ბელგიელების სააქციონერო საზოგადოებამ გამოაცხადა: ცარიცინში ელექტრონულ განათებას და ტრამვაის არ გავმართავთო. საზოგადოებისაგან გირაოდ წარდგენილი 25,000 მანეთი ქალაქის სასარგებლოდ დარჩება.

ხარკოვი. ლოთობის წინააღმდეგი საზოგადოების კომიტეტმა დაადგინა: ვიშუამდგომლოთ, რომ ქუჩებში და მოედნებში არყის სმა აიკრძალოსო.

კონსტანტინეპოლი. მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საელჩოს მრჩეველ ბაპსტისაგან დეპეშა მოვიდა, სადაც საფრანგეთის მოთხოვნილება იყო აღნიშნული, ოსმალეთის მთავრობამ რუსეთის საელჩოს მიჰმართა და დახმარება სთხოვა. რუსეთის საელჩომ უპასუხა: საფრანგეთის მოთხოვნილება აუცილებლად უნდა შეასრულოთო.

ლონდონი. “დეილი ნიუს“-ი იუწყება: ცნობილი ქალბატონი ჰობლოუზი სამხრეთ-აფრიკაში დაუტუსაღებიათ; ჰობლოუზმა ინგლისში ამბავი გაგზავნა: „სამხედრო ბანაკებში“ ბურების ბერი-კაცები, ქალები და ბავშვები ძლიერა სწყდებიანო.

შანჰაი. ბოლოს დროს იუწყებიან, იმპერატორს განზრახვა აქვს, 20 დღე კაიფუნში დარჩეს, აქ ქვრივი დედოფლის დაბადების დღე იდღესასწაულოს და შემდეგ პეკინში წავიდესო.

პარიჟი. გერმანიის ელჩმა მილიერანს იმპერატორის სახელით მადლობა გადაუხადა. მილიერანს ვილჰელმ II სათვის ძვირფასი საჩუქარი გაეგზავნა და მადლობა გამოეცხადებინა იმაზე, რომ იმპერატორმა მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო და თავისი საკუთარი სურათები გამოჰფინა. მილიერანმა პასუხად გულ-წრფელი მადლობა გადაუხადა იმპერატორს ყურადღებისათვის

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო“ იუწყება: ოსმალეთის მთავრობამ შეატყობინა ჩვენსას, რომ მზადა ვარ ყველა თქვენი მოთხოვნილება მივიღოო. დელკასემ უპასუხა, რა წამს საფრანგეთი გაიგებს, რომ ხონთქარს ოსმალეთის მთავრობის დადგენილება დაუმტკიცებია, საფრანგეთის გემების დივიზია მიტილენს მიატოვებსო.

პეკინი. „რეიტერის სააგენტომ“ აქედან დეპეშა გაგზავნა და ამბავი გაავრცელა, ვითომც რუსეთის ელჩსა და ლი-ხუნ-ჩანგს მანჯურიის თაობაზე მოლაპარაკება ჰქონოდეს გამართული: ეს ამბავი სწორე არაა. შეკრებილი ცნობების მიხედვით, თებერვალს აქეთ, როცა მანჯურიის თაობაზე მოლაპარაკება შესწყდა, ამ საგანზე რუსეთს ხმაც აღარ გაუცია ჩინეთისათვისო.

პეკინი. რამწამს ლი-ხუნ-ჩანგი გარდაიცვალა, მაშინვე ქალალდის მწვანე პალანკინი დადგე, ზედ შავი ცხენიც იყო დახატული. ამ პალანკინს ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს, რომ გარდაცვალებულის სული ცეცხლის ალმა ცაში აიტანოსო. გუშინ დილით გვამი კუბოში ჩაასვენეს. კვირა დღეს ყველანი დიდის ამბით თაყვანსა სცემენ გვამსა. უცხოეთის ელჩები სხვა დღეს მივლენ და ლი-ხუნ-ჩანგის გვამს პატივსა სცემენ. გარდაცვალებულს სამშობლო სოფელში დაასაფლავებენ. ჰფიქრობენ, რომ ლი-ხუნ-ჩანგს სიკვდილ შემდეგ მარკიზის ხარისხი მიეცემაო და ეს ხარისხი მის უფროს ვაჟიშვილზე გადავაო.

ბუდაპეშტი. კოლომონ ტისსა ძლიერ ავად გახდა.

ვენა. გაზეთები „ვინერ ტაგებლატ“-ი და „ნეუეს ვინერ-ტაგებლატ-“ი იუწყებიან: იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ბატონიშვილს გიორგის მიულოცა, რომ კუნძულ კრიტზე ჩინებული წესიერებაა დამყარებულიო.

ლონდონი. „ტაიმს“-მა ჰარკორტის წერილი დაბეჭდა. ჰარკორტი ჰგმობს მთავრობის პოლიტიკასა და ქცევას სამხრეთ-აფრიკაში; მეტადრე ამ ბოლოს დროინდელ პოლიტიკასა ჰკიცხავს და ამტკიცებს: ბურების განდევნა და ქონების ჩამორთმევა მეტად საზიზღარი საქციელია და ყველაფერს ეწინააღმდეგებაო: კონსტიტუციას, სამხედრო და სამოქალაქო კანონებსაცაო.

პარიჟი. კონსტანტინეპოლიდან სწორე უტყუარი ამბავი მოვიდა; როგორც ეტყობა, ხონთქარი მზადაა საფრანგეთს მოთხოვნილება შეუსრულოს, ისეთ ქაღალდს დასწერს, რომ საფრანგეთი ყველაფერში დააკმაყოფილოს.

მიუნხენი. გუშინ, საღამოს, როცა ბავარიის პრინცი ფერდინანდ ბავარიელი ნიმფენბურგის ციხე დარბაზში ბრუნდებოდა, მისი ეტლი ერთ ხეს შეეჯახა და გადაბრუნდა. პრინცი გადავარდა და ბეჭი გაიტეხა. დღეს პრინცი საკმაოდ კარგადაა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ჩემბერლენს კიდევ ულაპარაკნია: ვიცი, თქმა აღარ გინდათ, იცით რაღა, რაზე და ილაპარაკებდა... ისევ ბურებზე და სამხრეთ-აფრიკის ომზე ულაპარაკნია. არც იმისი თქმა გინდათ, თუ რა თქვა. მაინც ისევ ის უთქვამს: ბურები მიწასთან უნდა გავასწოროთო. თუ ეს კერპა ხალხი აქამდე ვერ გავანადგურეთ, ეს სულ ჩვენი ლიბერალების ბრალიაო. თავიანთ ლაპარაკით და ქცევით ბურებს აქეზებენ და ამიტომ ბურებიც ბრძოლაზე ხელს არ იღებენო.

ახლა, ჩემბერლენს ინგლისელი ლიბერალების ალაგმვაც უძევს გულში. ერთი და ერთი შეჯდა ეშმაკის ცხენზე და გადმოსვლასაც აღარ აპირობს.

✿ ჩემბერლენის მეორე ღირსეულ ამხანაგს, ირლანდიის მინისტრს უინდჰემსაც ულაპარკნია ამავე საგანზე. ბ-ნ უინდჰემს (გახსოვთ ამ ზამთარს ირლანდიელებმა, რომ უშტვინეს პარლამენტში?) ქალ. დუვრში კრებაზე უთქვამს:

«მთავრობა ეძებდა და იპოვა კიდეც ღირსეული კაცი. ლორდ კიტჩენერი ახლი სამთავარსარდლო კაცია. ამიტომ მთავრობაც ყველაფერში ენდობა. რასაც მთავარ-სარდალი იზამს, მთავრობა ყველაფრის პასუხს თავისს თავზე ჰკისრულობს. კიტჩენერი უსათუოდ დაასრულებს ომსა. ომის მოსპობა ერთად ერთი ხერხით შეიძლება: ბურების ყველა რაზმები თითო თითოდ უნდა დავიჭიროთ. ლორდ კიტჩენერს სრული უფლება აქვს მიცემული, როგორც ერჩიოს და უჯობდეს ისე მოიქცეს, ოღონდ ომი გამარჯვებით დააგვირგვინოს. იმას ვერ გეტყვით, როდის გათავდება, მაგრამ გარწმუნებთ, უსათუოდ გავათავებთ ამ ომს.

მე კი არ ვიცი, გაათავებთ მაშ საუკუნოდ ხომ არ გააბამთ? თუ თქვენ (მთავრობა) არ გაათავებთ, ინგლისის ერი ძალად გაგათავებინებთ.

✿ ამავე საგანზე შოტლანდიაში ქალ. აბროტში ლიბერალს ჯონ მორლეისაც ულაპარაკნია.—მორლეის ეთქვა:

«ორ წელიწადზე მეტია ბურებთან ვომობთ და ომს დღესაც ბოლო არ უჩანს. როგორც ეტყობა, ჩვენი მთავრობა ბურების ამოწყვეტას აპირობს. ბურები თავიანთ თავისუფლებასა და მიწა-წყალს იცავენ. სხვა დანაშაული არა მიუძღვით რა. განა ამისთანა ხალხის ამოწყვეტა და ან თითონ ეს სამხრეთ-აფრიკის ომიც დიდი საზიზღარი უსამართლობა არაა? ინგლისის მთავრობას, როგორც სჩანს, დავთრები დაებნა და თავზე ხელ აღებული კაცივით იქცევა. ჩვენი ხაზინა ილევა, ამ ომმა ათასნაირი ზარალი მოგვცა, ევროპაში გავლენა შეგვისუსტა. განა ჩვენი ხალხი გულ-ხელ დაკრეფილი უნდა ითმენდეს ამ ამბებს და სამხრეთ-აფრიკის საქმის გადაწყვეტა ჯარის-კაცებს უნდა მიანდოს? განა ჩვენ სახელმწიფო კაცები აღარა გვყავს? ეხლანდელ ჩვენ მთავრობას სამხედრო ძალ-მომრეობით და უდიერობით სწადიან ბურების დამორჩილება. ამიტომ ჩემის აზრით, მეფემ უფრო ღირსეული მინისტრები უნდა მოძებნოს და მიანდოს, რომ ჩვენი არეული საქმეები ინგლისის ღირსების და გვარად დაამთავროს».

✿ მთავრობა დაემუქრათ ირლანდიელებს, უსათუოდ აგლაგმავთო და, როგორც სჩანს, კიდეც ასრულებს თავის მუქარას. «ჟურნალ და დება»ს სწერენ ლონდონიდან:

«ირლანდიაში, ქალ. კალმენში ერთ კრებაზე ორ ირლანდიელ დეპუტატს ვილიამ რედმონდს და ოდონელს უნდა ელაპარაკნათ. რამწამს ოდონელმა ორიოდე სიტყვა თქვა, მაშინვე პოლიციის ინსპექტორი მიუახლოვდა და ურჩია: გაჩუმდით. ოდონელმა მაინც ლაპარაკი არ დაიშალა. მაშინ რამდენიმე პოლიციელი მოვიდა, ორატორი ტრიბუნიდან გადმოიყვანეს და ხალხი გარეკეს; ისე უდიერად მოიქცნენ, რომ ორიოდე კაცი კიდეც დასჭრეს და ოდონელი ძალით ქუჩაში გაათრიეს. მაინც ორივე დეპუტატმა თავიანთი სწადილი შეისრულეს: კერძო სახლში მოახდინეს კრება და იქ ილაპარაკეს. ამის შემდეგ იქვე, კალმენში ხალხმა დიდი უწესოება მოახდინა: როგორ თუ პოლიციამ ლაპარაკი აუკრძალა ჩვენ დეპუტატებსაო».

შეერთებული შტატები. გეხსომებათ, დეპეშაში ეწერა: რუზველტი, სხვათა შორის, ტრესტების წინააღმდეგაც ადგენს კანონ-პროექტსო. გაზ. «ტანა»-ს სწერენ: სინდიკატის ხელმძღვანელები ვაშინგტონში შეიყარნენ და უნდათ, რუზველტს სთხოვონ, ტრესტების წინააღმდეგ კანონ-პროექტი აღარ დაწეროს. მაგრამ პრეზიდენტმა ნირიც არ შეიცვალა და ტრესტების წარმომადგენლები არც კი მიიღო.

ამავე დროს გაზეთი იუწყება: «თუმცა რუზველტი ტრესტების ალაგმვას აპირობს, მაინც კაპიტალისტები თავისას არ იშლიან და ახალი ტრესტის დაარსებას აპირებენ. ამ ახალ ტრესტს ფოლადის ქარხნის პატრონები ადგენენ. ყველა, ვინც მორგანის ტრესტის ამხანაგად არაა, ამ ახალ ტრესტს მიეკედლება. მორგანის ტრესტს თუ ხუთი მილიარდი თანხა აქვს, ამ ახალ ტრესტს კიდე ათი მილიარდი ექნება. ამ ტრესტის მეთაურად კაპიტალისტი ფრიკი იქნება».

✿ დეპეშიდან გეცოდინებათ, რომ პრეზიდენტ მაკ-კინლეის მკვლელი ლეონ ჩოლგოში 28 ოქტომბერს (ახალი სტილით) სიკვდილით დასაჯეს. ამერიკული გაზეთები იუწყებიან «წინა ღამეს ჩოლგოშს კარგად ეძინა. დილით რომ მივიდნენ მის წამოსაყვანად, მეტად ურცხვად ეჭირა თავი. ადგა, ჩაიცვა და ისაუზმა კიდეც. როცა სავარძელზე დასვეს და დააბეს, ჩოლგოშმა სთქვა: «ჩემი მოვალეობა შევასრულე; და არცა ვნანობ. ეგ არის სანანებლად ის მრჩება, რომ მამა-ჩემი ვეღარა ვნახე და ვერ ველაპარაკე». გაათავა თუ არა ლაპარაკი, თავზე რკინის ქუდი დაჰხურეს და ზედ მავთულის წვერები მიუკრეს, ელექტრონის ძალა სამჯერ მისცეს და ლეონ ჩოლგოშს სიცოცხლე მოუსპეს».

✿ ფრანგი ეკონომისტი ლერუა-ბოლიე შეერთებულ შტატების მრეწველობას ერთი სხვა სახელმწიფოს მრეწველობას უდარებს. ბოლიე ამბობს: «ეს ორივე სახელმწიფო თითქო ერთნაირ ეკონომიურ პირობებში იყვნენ. ორივე ხვნასა და თესვას მისდევდა. ერთსაც და მეორესაც ბევრი მიწა-მამული ჰქონდათ. მერე, ორივემ თითქმის ერთსა და იმავე დროს მრეწველობის ასაყვავებლად ერთნაირი წესები დააწესეს: თავიანთ მრეწველობის გასაძლიერებლად უცხოეთის საქონელს დიდი ბაჟები დაადეს. მაგრამ ამ ერთნაირ წესებს სულ სხვა-და-სხვა შედეგი მოჰყვა. ამერიკის მრეწველობამ საოცარ განვითარებამდე მიაღწია, ლამის ყველა სახელმწიფოსას წინ გაუსწრო; მიწად მოქმედებაც თავის გზით მიდიოდა და უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მეორე სახელმწიფოში კი მრეწველობაც ისევ ისე საცოდავ მდგომარეობაშია და მიწად-მოქმედება ხომ სულ მიწასთან გასწორებულია. შეერთებული შტატების ფინანსიური მდგომარეობა ისეთია, რომ უკეთესი აღარ შეიძლება და მეორე სახელმწიფო კი ნამდვილად იხრჩობა უფულობისაგან და კოტრობისთვის თავი ვერ დაუხწევია».

კიდევ ამოვწერდით, მაგრამ ესეც კმარა. ან კი სულაც მიკვირს, რომ ასეთი ჭკვიანი კაცი, როგორც ლერუა ბოლიეა, ასე ტყუილად გარჯილა და ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთს უდარებს. რა შედარებაა. საიდან სად... სად ახმეტა, სად წილკანი, სად თხა სძოვდა, სად ციკანი!

„ცნობის ფურცლის“ დღევანდელ №-თან ერთად ეგზავნება ხელის-მომწერთ **სურათებიან დამატების** მე-12 ნომერი.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის მეღვინე-მევენახეებს 26 ოქტომბერს უკანასკნელი სხდომა ჰქონდათ. ამ სხდომაზე დაასრულეს ღვინის ფალსიფიკაციის საწინააღმდეგო წესდების შემუშავება და შემდეგ წაკითხულ იქმნა წარსულ სხდომების ოქმები, რომელნიც კრებამ შეუცვლელა მიიღო. მეღვინე მევენახეთა კრებას ჰქონდა სულ 12 სხდომა და განიხილა თორმეტი მოხსენება.

✦ უფროს აგრონომის ბ-ნ სტაროსელსკის წინადადებისამებრ, კავკასიის მეღვინე-მევენახეთა კრებამ 26 ოქტომბრის სხდომაზე გარდასწყვიტა სთხოვონ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, დანიშნოს კავკასიის მეღვინე-მევენახეთა წარმომადგენლები რუსეთის მეღვინე მევენახეთა საერთო კრებაზე. კრებამ გარდასწყვიტა სთხოვონ აგრეთვე სამეურნეო საზოგადოებას ახლოს მომავალში გამოითხოვოს მიწადმოქმედების სამინისტროსაგან ნება რთვა, რომ ტფილისში კიდევ დაინიშნოს მევენახეთა კრება.

✦ მეღვინე-მევენახეთა კრებამ დაადგინა განიხილოს სამინდვრო კულტურის კრებასთან ერთად მეურნეობის საზოგადო კითხვები.

✦ ხვალ ტფილისში ჩამოვლენ ტრამვაის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელნი ელექტრონის ტრამვაის პროექტის წარსადგენად და ცენტრალურ საელექტრონო სადგურისათვის ადგილის ამოსარჩევად.

✦ 26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა ქალაქის ქუჩების მოკირწყვლაზე მოსალაპარაკებლად. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით ზოგიერთი ქუჩები არ იყო მოსაკირწყლავად და შესაკეთებლად აღნიშნული, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოებისა და უმთავრესად საიუბილეო დღესასწაულების გამოსაჭირო შეიქმნა მათი შეკეთება, რის გამოც ხარჯთ-აღრიცხვაზე მეტი ფული დაიხარჯა ამ საქმისათვისაო. ჩერქეზიშვილის აზრით, საჭირო ხარჯი, სულ 12,000 მან., უნდა დაიფაროს ქუჩების შესაკეთებლად გადადებულ საერთო თანხიდან. შეერთებულმა სხდომამ, ჩერქეზიშვილის მოსაზრებისა და ტეხნიკოსების აზრის მოსმენის შემდეგ, დაადგინა: 1) გამორკვეულ იქმნეს იმ ფულის ჯამი, რომელიც დაიხარჯა ქუჩების შესაკეთებლად წელს 21 ოქტომბრამდე, 2) ნება დართულ იქმნეს ამ ფულის გასტუმრება ხარჯთ-აღრიცხვის მე-VII მუხლში აღნიშნულ თანხიდან, 3) გადადებულ იქმნეს იმავე თანხიდან 2000 მან. იმ ქუჩებისათვის, რომელთა შეკეთება ეხლავე მოუცილებლად საჭიროა, 4) მოსალოდნელი შემოსავალი (3000 მანეთზე მეტი), რომელიც ერგება ქალაქს ქუჩების მოსაკირწყლავად ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან, გადადებულ იქმნეს ხარჯთ-აღრიცხვის მე-VII მუხლის თანხის გასაძლიერებლად და 5) შეამოწმოს და დაათვალიეროს ქალაქის გამგეობამ და საფინანსო კომისიის შეერთებულმა კრებამ ყველა შეკეთებული, მოკირწყლული და მოსაკირწყლავი ქუჩები ახლო მომავალში.

✦ ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარე უკვე ამოირჩია ქალაქის საბჭომ. რადგანაც ამ სასამართლოში წევრებს სამის წლის ვადა უკვე გაუთავდათ, ქალაქის მოურავის მოადგილემ, ბ-ნმა შესტაკოვმა, მისწერა ვაჭართა, მოქალაქეთა, ხელოსანთა და სხვათა მამასახლისებს საზოგადო ყრილობები მოახდინონ, რომ თავის მხრით წარმომადგენელნი აირჩიონ აღნიშნულ სასამართლოში. მოქალაქეთა მამასახლისი ედიგაროვი სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენის გამო, თანახმად სასჯელთა დებულების მე-354 და 359 მუხლებისა, პასუხის გებაში იქმნა მიცემული და კითხვა იბადება, რამდენად კანონიერი იქნება ედიგაროვის მეთაურობით შემდგარი საზოგადო კრება, რომელმაც ორი წარმომადგენელი უნდა ამოირჩიოს ობოლთა სასამართლოს წევრებად.

✦ საზოგადო განათლების კურსებს პირველ სავაჟო გიმნაზიაში ხშირად იმდენი ხალხი აწყდება, რომ სადგომი ძლივს იტევს.

✦ ტფილისში შრომას ბიუროს მომწყობელმა ბ. თამამშევმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ მანაც, ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მზგავსად, ბიუროს მიჰმართოს ხოლმე, როცა სჭირია ვინმე დასაქირავებლად. ბ. თამამშევს განზრახვა აქვს დააარსოს ცენტრალურ ბიუროსთან თავშესაფარი ინტელიგენტ-ქალთათვის. თავშესაფარში მცხოვრებს გარ[illegible]დება დღე-ღამეში 40 კ.

✦ მომავალ კვირაში ტფილისის გუბერნატორი და გუბერნიის ექიმი სიღნაღის მაზრაში წავლენ.

✦ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ქალაქის საბჭომ უარი გამოუცხადა ექვთიმე ჩინჩალაძის ობლების მზრუნველს რევაზ ჩინჩალაძეს, რომელმაც ობლებისათვის ერთჯამიერი 3000 მან. ითხოვა შემ-

წერობად ქალაქისაგან, რადგანაც, მისის განცხადებით, ქალაქის გამგეობის მიზეზით დაიღუპა წყალში ოჯახის მარჩენალი ე. ჩინჩალაძე. რევაზ ჩინჩალაძეს ამ დღეებში ქალაქის გამგეობიდან გამოუტანია საბუთის ქაღალდები და განზრახვა აქვს სასამართლოს მიმართოს.

◆ გუშინ წინ ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა 1 და 2 **საქალებო გიმნაზიების** სამზრუნველოს. უმთავრესი განსახილველი საკითხი იყო მეორე გიმნაზიის შენობის მოთავსებისათვის საჭირო ფულების (50.000 მ.) გამოძებნა. ზოგიერთმა წინადადება შემოიტანა, დაეგირავებინათ შენობის დამთავრებული ნაწილი და აღებულის ფულით დაემთავრებინათ იგი. მაგრამ, რადგან ვერ გამოირკვა, აქვს თუ არა ნება სამზრუნველოს დააგიროს ეს შენობა (სახაზინოა), საკითხის გადაწყვეტა შემდეგისათვის გადაიდო.

◆ გუშინ სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა საქმე ივანე **ხაჩატუროვისა და მახაილოვისა**, რომელთაც კავკავის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორი გრუშევსკი ცილის წამებას უჩიოდა. რადგანაც ბ. გრუშევსკი გარდაცვლილა, ამიტომ გრუშევსკის ვექილმა ბ. ფრენკელმა უარი განაცხადა საქმის განგრძობაზე. ბ. ხაჩატუროვმა კი ითხოვა საქმის არსებითად განხილვა. პალატამ რეზოლიუციის გამოცხადება ორშაბათისათვის გადასდო.

◆ 26 ოქტომბერს, საღამოს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ტფილისის **ტრამვაის კომისიას** უსახელო საზოგადოებაზე სხვა-და-სხვა საჩივრების განსახილველად.

◆ განზრახვა აქვთ, **სპილენძის ფულის** მაგიერ შემოიღონ ალიუმინისაგან გაკეთებული ფული. ამ საქმის გამოსარკვევად დანიშნულია განსაკუთრებული კომისია.

◆ ამას წინად რომ **კამეჩის ხორცს ორი ბეჭედი** აღმოაჩნდა, ამ საქმის გამოძიება მინდობილი აქვს სასანიტარო-საექიმო ინსპექტორს სტეფანოვს. იმედია, მალე გავიგებთ, თუ საიდან არის ეს ორი ბეჭედი.

◆ გუშინ **მედგინე-მევენახეთა კრების** წევრებმა დაათვალიერეს საუფლის-წულო მამულების და პეტრუსა მაკაროვის ღვინის სარდაფები.

◆ გუშინ-წინ ქალაქის თავის მოადგილემ ბ. შესტაკოვმა და საბჭოს ექიმმა ბ. გედალინმა დაათვალიერეს პურის საცხობები და სახაშეები სალდათის ბაზარზე და პოლიციის მეხუთე ნაწილში.

◆ ალექსანდრეპოლის მაზრის კიშლიარის ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველმა წერილობით სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, აცნობოს, თუ საიდან შეიძლება გამოწერა ან როგორი სისტემის წისქვილი უკეთესი იქნება, ხელით ან ცხენის ძალით რომ შეიძლებოდეს მისი ამოძრავება. ასეთი წისქვილის გამოწერა აღნიშნულ ზედამხედველისათვის დაუვალებიათ ადგილობრივ გლეხებს. ამასთანავე ზედამხედველი ატყობინებს სამეურნეო საზოგადოებას, რომ მან იჯარით აიღო 24 წლით სახელმწიფო მიწა დგნალის (карзиночная ива) ტყის მოსაშენებლად. მასწავლებელს განზრახვა აქვს კალათების დაწვნა დაიწყოს. ხოლო, რადგანაც არ სცოდნია, თუ საიდან შეიძლება ამ ტყის ნერგის შეძენა, საზოგადოებას სთხოვს დახმარებას.

◆ 26 ოქტომბერს ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომაზე გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა ითხოვა, რომ გადაიდოს 400 მან. წელს და 500 მან. ყოველ წლობით ქალაქის სასაკლაოზე მირზოევის სისტემის ფეჩების შესაკეთებლად. შეერთებულმა სხდომამ გარდასწყვიტა აღნიშნულ საქმისათვის წელს გადაიდოს 400 მან. ხოლო მომავალ წლისათვის ეს ფული 1902 წლის ხარჯთ აღრიცხვაში იქნეს შეტანილი; ფეჩი უნდა შეაკეთოს თვით მირზოევმა ქალაქის ტეხნიკოსების თანადასწრებით.

◆ დამოენის ახლო **ხე-ტყის საწყობების** პატრონები სთხოვენ ქალაქის გამგეობას, შეაკეთონ **ანდრეევის ქუჩა**, რადგანაც ისინი მეტად ზარალობენ ამ ქუჩის უვარგისობის გამო: ვერ ჰყიდიან შეშას, რადგან მედროგეები მეტად დიდ ფასს თხოულობენ გადაზიდვაში ქუჩის მეტად ცუდ მდგომარეობის გამო.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში, 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუტეხიათ სპარსეთის ქვეშევრდომის სარქის გეორქოვისა და სხვების ბინა კონსისტორიის ქუჩაზე და გამოუტანიათ ხალიჩები, ტანისამოსი და სხვა რაღაც ნივთები, სულ 142 მან. 70 კაპ. ღირებული. ბოროტ-განმზრახველთა აღმოსაჩენად საშუალება იქმნა მიღებული.

კავკასიის გამოფენა

XI

შინად მრეწველობა

(წერილი მეორე)

გარეთ გასავალ კარებთან, კუთხეში მოთავსებულია ექსპონატები შრომის მოყვარეთა სახლის მზრუნველ საზოგადოებისა ტფილისში. საყურადღებოა ამ საზოგადოების მოქმედება, რომელიც 1898 წლის 1-ლ ნოემბრიდან დაიწყო. საგანი საზოგადოებისა—თავ-შესაფარი და შრომა უპოვოს ისეთებს, რომელნიც კარ-გარედ რჩებიან უმოწყალოდ, მშიერ მწყურვალე, თუ საავადმყოფოდან გამოსულები, თუ ციხე-საპყრობილედან განთავისუფლებულნი, მაგრამ ისეთები, რომელთაც ჯერ ვერც ბინა მოუპოვიათ სადმე და ვერც სამუშაო და ლუკმა-პური. ასეთებს დროებით შეიფარებენ ამ სახლში, სანამ უმოწყალო სადმე დაბინავდებოდეს.

1898 წლის 1-ლ ნოემბრიდან 1900 წ. 1-ლ იანვრამდე შრომის მოყვარეთა სახლში უმუშავნია ათი ათას ექვსას ერთ კაცსა, შარშან მარტო კი—რვა ათას შვიდას ექვს კაცსა, რომელთაგან ასზე ყოფილა: რუსი 45, ქართველი—23, სომეხი—21, გერმანელი—7, პოლონელი—3 და ებრაელი—1. ყველაზე უფრო მეტი ამ თავშესაფარში ქალები ყოფილან: ასზე ქალი ყოფილა 71 და ვაჟი—29.

შრომის მოყვარეთა სახლში ასწავლიან და აკეთებინებენ თავშეფარებულთ: საკანცელარიო კონვერტებს, აფთიაქში სახმარებელ გასახვევ ქაღალდებს, ქაღალდის ყუთებს შლიაპებისათვის და ქუდებისათვის; საკერავებს: ბავშვისა, ქალისა და ვაჟის თეთრეულისას და სხვ.

ყველა ამის ნიმუშები წარმოდგენილია გამოფენაზე.

ბავშვთა-თავშესაფარს ნავთლუღში წარმოუდგენია „კრუჟევოები“ და ამისაგან გაკეთებული სხვა-და-სხვა რამეები.

ბ რაფაელოვისა და გ. გუმარიტოვის ვიტრინებიც რომ დავათვალიეროთ—ბუზმენტები, ოქრო მკედის ნაქსოვები, თასმები და სხვა, ამით გავათავებთ განყოფილების კედლების მოყოლებით გამოფენილის ექსპონატების დათვალიერებას და ისევ იქ მივალთ, საიდანაც შემოვედით ამ განყოფილებაში.

შუა-გულ ოთახის პირველი ადგილი დაუჭერია ტფილისში მოვაჭრეს მაკს ფრიდს, რომელსაც ვაჟების ტანისამოსის ნიმუშები წარმოუდგენია. კარგი ნიმუშებია.

ამის უკან მოთავსებულია გ. გ. ოსეფოვი, კარგის ხელობით გაკეთებული ჩვენებური ტანისამოსები წარმოუდგენია—ერთი კინტოსი და მეორეც—იმერული.

ე. პავლიჩეკის ვიტრინა—ვეებერთელა ცილინდრია და შიგ ვაჟისა და ქალის შლიაპებია გამოფენილი.

მ. მარზელსონს—ძვირფასი თვალ-მარგალიტი და ოქროს ხელობა.

მერე ერთი დიდი ვიტრინაა, სადაც მოთავსებულია ექსპონატთა გროვა ოქრო-ვერცხლის ქანდაკებისა, ვერცხლით ნაკეთები იარაღები, შალები, აბრეშუმეულობა, ძვლის ხელობა და სხვ. ნივთეულობა. განსაკუთრებით შესანიშნავია აქ მთელი კოლექცია მეტად ძველის ხელობისა, ოქროსა ძვირფასის თვლებით შეჭედილი ძველად-ძველი სამკაული ქალისთვის. ეს კოლექცია წარმოუდგენია ბ-ნ მესროპ არზუმანიანცს და აცხადებს, რომ სამკაული ძველი შაჰის ცოლების სახმარებელი იყოო. მეორე საყურადღებო ნივთია ამ ვიტრინაში წმინდა თმით მოქსოვილი ქალის პატარა სურათი. საუცხოვო ხელობისაა მ. ნ. ლალაევისა, რომელიც ას თუმნად აფასებს ამ სურათს. ლ. გ. პაპეს (ტფილისშია) ისეთი ნახელავი ყვავილები წარმოუდგენია წმინდა სანთლისაგან გაკეთებული, რომ სანამ ხელს არ მოჰკიდებთ, არ დაიჯერებთ, ხელოვნური ყვავილებიაო. საუცხოვო ფერისაა და წმინდად ნაკეთები.

ლ. ალიმბაროვის ცალკე ვიტრინაში გამოფენილია ვაჟისა, ქალისა და ბავშვის თეთრეული მშვენიერის ხელობით გაკეთებული.

ბ. პაპეს ყვავილების ზევით ბოძზედ დაკიდებულია კარგის ხელობით გაკეთებული შოთა რუსთაველის სურათი კ. არსენიშვილისა.

სურათების ქსოვილებით ნაკეთები ნიმუშები ბლომადაა ჩვენს გამოფენაზე, მაგრამ არც ერთი ისე არ მოგვწონებია—და არა მარტო ჩვენ—სხვებიც ბევრნი აქცევენ ყურადღებას ნინო იოსავას მიერ აბრეშუმის ძაფებით მოქსოვილს დემონისა და თამარის სურათს. ეს სურათი გამოფენილია მაღალ კედელზე სადარბაზოდ მორთულ ოთახში. თუმცა ძნელად შესამჩნევ ადგილას ჩამოუკიდნიათ, მაგრამ ამ სურათის მნახველი ბევრია, რადგან არ შეიძლება არ მიიქციოს მნახველის ყურადღება ამ ჩინებულის ხელობით გამოქსოვილმა სურათმა ქ-ნ იოსავასამ.

—მე.

**

გამოფენის კომისარიატს განზრახვა აქვს მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან ითხოვოს ნებართვა მომავალ მაისში გამოფენის ხელმეორედ გახსნისა. ამიტომ კომისარიატს აზრად აქვს არ მოშალოს გამოფენის ეხლანდელი შენობები.

**

ხვალ, თუ კარგი ამინდი იქნება, გამოფენაზე „ყვავილების დღესასწაული“ გაიმართება. ყვავილები ბათუმიდან გამოუწერიათ. საქმეს ხელმძღვანელობენ ბ.ბ. მესხი და მარკაროვი.

**

კავკასიის შინად-მრეწველობის კომიტეტს უთხოვნია და კიდეც დაუთანხმებია კავკასიის გამოფენის ზოგი ექსპონენტი—მონაწილეობა მიიღონ სრულიად რუსეთის შინად-მრეწველობის გამოფენაში, რომელიც პეტერბურგში გაიმართება მომავალ მარტს.

**

ხვალ სხდომა ექნება გამოფენის გამგე კომიტეტს.

**

25 ოქტომბერს გამოფენაზე ყოფილა 673 კაცი, 26 ს—900.

**

გათავდა ხელოვნურ-მადნეულ წყლების ექსპერტიზა.

**

ხვალისათვის დანიშნულია შინად-მრეწველობის სახელ-საქნარო ექსპონატების ექსპერტიზა.

პრესსა

„ნოვ. ობოზრ.“-ში დასტამბულია ბ. სილოვანის წერილი იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები 40 ათასი მანეთი. ბ-ნი სილოვანი იმ აზრისაა, რომ ორივე გუბერნიების თავად-აზნაურობამ თანხმობით უნდა იმოქმედოს ამ საქმეში და საერთო დანიშნულება მისცეს ნაბოძებ ფულს. ცალკე ვერც ტფილისისა და ვერც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა თვალსაჩინო საქმეს ვერ შექმნიან ამ ფულითო; ხოლო შეერთებულის თანხით შეიძლება ერთი საშუალო სასწავლებელი დაარსდესო, რაც მეტად საჭიროა ჩვენთვისაო. რაც შეეხება სასწავლებლის ტიპს, ბ. სილოვანი ურჩევს თავად-აზნაურთ საშუალო საგრონომო სასწავლებლის დაარსებას.

ამგვარად, ბ. სილოვანმა ორი წინადადება წამოაყენა: 1) საერთოდ იქმნას მოხმარებული აღნიშნული ფული და 2) დაარსდეს საგრონომო სასწავლებელი. პირველი წინადადება, ჩვენის ფიქრით, სრულის თანაგრძნობის ღირსია შრანცამაღლურად. ეჭვს გარეშეა, რომ შეერთებულის თანხითა და ძალით უფრო დიდი და სასარგებლო საქმე მოეწყობა, ვიდრე განცალკავებითა და განაწილებით. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც აძნელებს ამგვარ შეერთებას; ისევ ვიმეორებთ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილის მოსაზრებას ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ: შესაძლებელია, ქუთაისის სკოლა ახლო მომავალში განსაცდელში ჩავარდეს; მაშინ საიდან იშოვოს თავად-აზნაურობამ სკოლის შესანახი ფული? იქნება ჩვენ ვცდებოდეთ, იქნება ქუთაისის თავად-აზნაურთა სკოლის მომავალი უზრუნველ-ყოფილია და ჩვენი წინასწარმეტყველება უადგილო? ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ ეს ასე გამოდგა; მაშინ ჩვენც სულითა და გულით მივემხრობით ბ. სილოვანის აზრს; ხოლო ამ ჟამად საჭიროდ მიგვაჩნია გავახსენოთ იმერეთის თავად-აზნაურთ ბეჯითად გამოარკვიონ ჩვენ მიერ აღძრული საკითხი და მხოლოდ შემდეგ მიიღონ საბოლოო გარდაწყვეტილება უმაღლესად ნაბოძებ ფულის შესახებ.

ბ. სილოვანის მეორე წინადადების გამო კი ჩვენ შემდეგი გვაქვს სათქმელი: ჩვენს მამულეთ დიდათ უშლის ხელს ის გარემოება, რომ სამეურნეო და სატეხნიკო ცოდნა არა აქვთ; დღეს დღეობით ძნელია ეკონომიური მოღვაწეობა ძველებურის ცოდნითა და იარაღით; თუ გვინდა, რომ სავსებით მოვიხმაროთ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე, თუ გვსურს გავაღონიეროთ სოფლის მეურნე, აუცილებლად საჭიროა სპეციალური სასწავლებელი დავიარსოთ. ამაში, ჩვენის აზრით, ბ. სილოვანს ყველანი დაეთანხმებიან. მაგრამ, აი რა გვაქვს დასაფიქრებელი და ასაწონ-დასაწონი: საგრონომო სწავლის გაძლიერების საჭიროება კავკასიაში თვით მთავრობას აქვს აღიარებული აუცილებელ საქმედ. ეს საკითხი უკვე აღძრულია და, დღეს იქნება თუ ხვალ, უნდა საბოლოოდ გადაწყდეს. მთავრობას განზრახვა აქვს ორის საგრონომო სასწავლებლის დაარსებისა: ერთის თავ. ერისთავის მიერ შეწირულ მამულში, ოძისში, მეორესი—ტფილისში, სადაც საგრონომო-სატეხნიკო სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს საბრეშუმო სადგური. რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამ საქმის განხორციელება, იმ პასუხიდანაც სჩანს, რომელიც ტფილისის საქალაქო მმართველობას მოუვიდა საერო განათლების სამინისტროსაგან პოლიტეხნიკუმის დაარსების შუამდგომლობაზე. სამინისტრო იტყობინებოდა, რომ მთავრობის აზრით კავკასიაში საშუალო სპეციალური სასწავლებელი უნდა დაარსდესო. ვიმეორებთ, ამ საგნის შესახებ მთავრობას პროექტები აქვს. მართალია, ოძისში პირველ ხანობით განზრახულია დაბალის საგრონომო სკოლის გახსნა, მაგრამ შემდეგში, შემომწირველის სურვილის თანახმად, სკოლა საშუალო საგრონომო სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს. ტფილისში კი ადრე თუ გვიან უთუოდ დაწესდება საშუალო სპეციალური სკოლა, რომელიც, თუ სრულიად საგრონომო არ იქნება, აგრონომიული განყოფილებით მაინც იქნება. თუ ეს ასეა, მაშინ ასწონ და აწონი რჩება საკითხი: საჭირო იქნება განა თავად-აზნაურობამ ამ საქმეს მოახმაროს ნაბოძები თანხა და უფრო უკეთესი არ იქნება, სხვაგვარი გზა აირჩიოს თავის მოზარდ თაობის სწავლა-განათლების გასაძლიერებლად?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინდვრო კულტურის წარმომადგენელთა კრება

26 ოქტომბერი

როგორც გუშინაც გვქონდა მოხსენებული, ს. მ. ზავაროვმა აღნიშნა მთელის აღმოსავლეთ კავკასიის მეურნეობის დაქვეითება უწყლობისა გამო და გამოსთქვა, რომ ერთად ერთი სალსარი აღმოსავლეთ კავკასიაში ნიადაგის გაუმჯობესება-განაყოფიერებისა ის იქნება, თუ სისტემატიურად საჭირო ადგილებში წყლის არხებს გავიყვანთ სარწყავადაო; ხოლო ამისათვისო, სთქვა ზავაროვმა, საჭიროა შუამდგომლობა აღვძრათ უმაღლეს მთავრობასთან, რომ განსაკუთრებული თანხა იქმნეს შედგენილი აღმოსავლეთ კავკასიაში სარწყავ არხების გასაყვანადო. 26 ოქტომბრის სხდომაზედ სამინდვრო კულტურის წარმომადგენელთა კრებამ პირველად განიხილა ბ-ნ ზავაროვის წინადადება. უმრავლესობა წინააღმდეგი გაუხდა მოსაზრებას განსაკუთრებულის თანხის შედგენის შესახებ, რადგანაც მელიორაციული კრედიტი მთავრობას გადადებული აქვს სწორედ იმგვარ საქმეებისათვის, როგორიც არის მამულების მორწყვა, გაშენება და სხვ.!

ბ-ნი შიმანოვსკი და თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი ამტკიცებდნენ—არავითარი საფუძველი არ ექნება კრების შუამდგომლობას განსაკუთრებულის თანხის შედგენის შესახებ; აღძრულ საკითხისათვის შუამდგომლობის აღძვრა არა ღირს მით უმეტეს, რომ სარწყავ წყლებისთვის სპეციალურად მელიორაციული კრედიტია დანიშნულიო; სულ სხვა იქნება, თუ არ კმარა ეს კრედიტი, ვითხოვოთ მისი კიდევ უფრო გაფართოვება, რათა აღნიშნულს საქმეს კარგად ეხმარებოდესო. კარგა ხნის კამათის შემდეგ, მომხსენებელიც თანახმა გაუხდა უმრავლესობას და კრებამ გამოსთქვა: სასურველია რაც შეიძლება გაფართოვდეს მელიორაციული კრედიტის საქმე კავკასიის საჭირო ადგილებში სარწყავ წყლის არხების გასაყვანადო.

ამავე სხდომაზედ კრებამ მოისმინა ს. ნ. ტიმოფეევის მოხსენება იმის შესახებ, რომ ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმე პრაქტიკულ ნიადაგზედ იქმნას დაყენებული; ამას უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება შეუგნებელ უმრავლესობისათვის, რომელიც ცოცხალ მაგალითით უფრო დარწმუნდება რომელისამე ნაწარმოების სიკარგე სარგებლობაშიო. ამ საქმის მოსაწყობათ, მომხსენებლის აზრით, ძალიან დაეხმარება ხალხს თუ სპეციალისტი მეურნეები კერძო მემამულეების საცდელ მინდვრებში გააშენებენ სხვა და სხვა კულტურას. მომხსენებელმა ურჩია კრებას აღძრას შუამდგომლობა, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის სამართველოსთან დაარსებული იქნეს ბიურო ანუ კომისია, რომელიც ეცდება თვისი ინსტრუქტორებითა და სპეციალისტ პირების საშუალებით ხალხში საჭირო სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, საუკეთესო სათესლე ხორბლის მიწოდებას, გამოიწერს გაუმჯობესებულ მანქანებსა და იარაღებს და მსურველებს საჭიროების დროს გაუგზავნის შეღავათიანი პირობებით და სხვ. ამ ბიუროსთან დაახლოვებითი დამოკიდებულება ექნება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას. ბიურო, სხვათა შორის, უნდა ეცადოს აგრეთვე შეისწავლოს და აღწეროს კერძო მემამულეების ტიპიური საცდელი მინდვრები, რათა ამ მხრით გამორკვეული იქმნას ხოლმე ყოველივე ადგილობრივი სამეურნეო საჭიროებანი და მათი დამაკმაყოფილებელნი საშუალებანი.

კამათმა ღამის 11 საათამდე გასტანა; კრებამ დასასრულ გამოსთქვა სურვილი რაც შეიძლება გავრცელდეს საცდელი მინდვრები ისე, როგორც ეს მომხსენებელმა აუწყა კრებას.

პროვინცია

ქ. სიღნაღი. ეს მეორე თვეა, ხან წვიმს, ხან მთლად ბურუსითა და ჟანღით არის მოცული სიღნაღი; ერთ ღამეს თოვლიც მოვიდა და ამ ბოლო ხანებში კი ქარიშხალიც იყო. ბუნებაზე ნაკლებ არც ჩვენი ქალაქის მამები ირევიან. აი ეს მესამეთ თუ მეოთხეთ იყო დანიშნული კრება ქალაქის რწმუნებულთა ქალაქის მ.მ. სახლისის თანაშემწის ამოსარჩევად და რამდენიმე საჭირ ბოროტო კითხვების გასარჩევად და არ შესდგა ქალაქის გულ-შემატკივართ დაუსწრებლობისა გამო. დანიშნულ გადაზე თუ ერთი პარტია მოვა, მეორე აღარ მოდის და თუ რომელიმე მათგანი მოვიდა—კრებას თავს ანებებს და კარზე გადის. რა არის კრება არ შესდგესო. აი ამ თვის 23-იც, როდესაც რჩევა იყო დანიშნული, სთქვეს, თვით-მმართველობის ს.მ. წერლის ახლოს მესაათის დუქანში ბრძანდებოდა ერთი დასი და იქიდან უცდიდა შეკრებულ რწმუნებულთა დაშლას. არც არჩევანი მოხდა და არც სხვა კითხვების განხილვა. ეხლა, მგონი, უფლებაც დაკარგეს არჩევისა, რადგან ეს მესამე კრება არ შესდგა. ქალაქის მამები ერთმანერთს ექიშპებიან, ქალაქი კი უპატრონოთ არის მიტოვებული და ხომ მოგეხსენებათ ანდაზა: «სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხოდ» და ჩვენი ყასბებიც საუცხოვოთა სარგებლობენ ამ უყურადღებობით: ამათთვის არც ნიხრი არსებობს, არც სახელმწიფოში არსებული კანონები. თუ ვინმემ გაბედა და არსებული ნიხრი მოითხოვა, ამ ურჩს მაშინათვე გაისტუმრებენ დუქნიდან და თანაც მისძახებენ: «ჩვენ შენსთანაზე ხარჯს არ ვეძებთ, შენ ხორცისა რა იცი! ბატონ ჩემს, ჩემს «კანტალოს» გაუმარჯოს, აი ახალი რევიზორი გამოგვჩენია» და სხვა. სოფლელებს ხომ ხმას არავინ აღებინებს. თუ ერთი-ორათ მეტი ფასი არ აუთქვა, ხორცს არც უჩვენებენ, რამდენსამე კისერშიაც უთაქებენ და ისე გაისტუმრებენ ხოლმე, მაგრამ ეს ქისტის კვრა კი ამას წინად ღამის ძვირათ დაუჯდათ დარბაისელ მოქალაქეთ! ამ დღეობისთვის 15-დან სიღნაღში კენჭის ამოსაღებად 18 სოფლის ემაწვილი ბიჭები არიან შეკრებილნი. აი ამ ბიჭებს თვიანთებურად დაუწყეს კვიდი და დაცინვა ქალაქელებმა. ერთი კარგათ შეზარხოშებულა კინტუა კი ხან ვის დაეჯახებოდა და ხან ვის. ითმინეს, ითმინეს და ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა და გამწვავებულმა ერთმა სოფლელმა დაიძახა: «კაცო, სირცხვილი არ არის, რომ ამოდენა ხალხი ერთმა პოი ამ მასხარად აგვიგდოსო» და სთხლიშა კიდეკაც სილა. ამ მოქალაქეს სხვები გამოექომაგნენ, სოფლელებიც ერთად შეჯგუფდნენ და გაიმართა ნამდვილი ჩხუბი. მალე იკადრეს ქალაქელებმა დუქნებს დაკეტვა და აქა-იქ მიმალვა. ბოლოს როგორც იყო, პოლიცია ჩაერია და ხალხი დააშოშმინა. სოფლელებს ჯავრს სიღნაღელებზე ბუნება ურიდობს. ამ დაჟინებულმა წვიმებმა სულ დაახევა ისეც დახევებული ოღრო-ჩოღრო ქუჩები. ტფილისის ქუჩაზე (უმთავრესად) ისეთ ამღვრებული ტალახი, რომ ცხენიან კაცსაც ვერ გაუვლია. ამ დღეებში სოფლიდან სიღნაღზე პატარძალი გამოატარეს. ერთს ემაწვილ ბიჭს უნდოდა ეჩვენებინა მოქალაქეთათვის თავისი სიმარჯვე და თავის ცხენის სიმკვირცხლე და გამოაჭენა ცხენი. ცხენი ყურებამდის ჩავარდა ტალახში და შიგ ჩარჩა. მხედარი, როგორც იყო, გადმოხტა გვერდზე, მაგრამ ვაი ამისთანა გადმოხტომას. როგორც კარგა სქლათ გაპუდრული ჩურჩხელა, ისე იყო ლაფში ამოვლებული. მერე ცხენიც გამოათრიეს ვაი-ვაგლახით და საცოდავი ცხოველი სულ ცახცახებდა შიშისაგან. ამისთანა დღე თვით აქაურს მეეტლებსაც ხშირათ ემართებათ ხოლმე. ან კი როგორ ასცდებიან, ათი თორმეტი საჟენის მანძილზეა მდორე მოდებული, მარცხნივ დუქნებია, მარჯვნივ დაწევა კი არ შეიძლება, რადგან ერთი ეტლის გასავლელი მეტი მანძილი აღარ არის და თუ ცოტა მეტი დაიწია, თვით უფსკრულში ჩავარდება, რომელიც დღით-ღამე შიგნით იწევს. თუ არა ეშველა-რა ამ გზას, მალე ქალაქი ორათ გაიყოფა და ერთი ალაგიდან მეორეში მისვლა შეუძლებელი იქნება. ტფილისის გზაც შეგვეკრება.

შორეული.

სასამართლო

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელედ ნამყოფის ალექსანდრე ხონოიანცისა, რომელსაც სპარსეთის ქვეშევრდომის სეროპ-ოსკალ-კიოლ-ოღლის მკვლელობა ედებოდა ბრალად. როგორც ვიცით, მოკლული სეროპ-კიოლ-ოღლი მეპურე იყო და მეპურის წესზე გვარიანი შეძლებულიც. ერთ დილას, შესულან თუ არა მის სახლში მეზობლები, შემდეგი შესაზარი სურათი უნახავთ: კიოლ-ოღლი დამხობილი იყო იატაკზე, გვერდში ჩაკრული და შიგვე ჩატოვებულ ჰქონდა გრძელი დანა და ჭრილობისაგან გადმოსულ სისხლში სცურავდა უკვე გაციებული გვამი. პოლიციას მოკვლა გაცარცვის მიზნით ჰგონებია და დაუჩხრეკიათ მისი სახლი, მაგრამ არამც თუ ვისმე მისი რაიმე ნივთები წაეღო, არამედ ჯიბეში 400 მანეთისა, ვერცხლის საათისა და სტოლზე სხვა ნივთებისათვისაც არავის ეხლო ხელი. მოკლულის ტანისამოსის გაჩხრეკის დროს უნახავთ ერთი ბარათი; ბარათი მიწერილი ყოფილა მის საყვარელ ქალთან, რომელიც ამ დროს რუსეთში ყოფილა წასული. გამოძიებას გამოურკვევია შემდეგი: ის ქალი, სახელად ქსენია, თურმე ჰყვარებია როგორც იმ მოკლულს, აგრეთვე ზემოდ დასახელებულ ალ. ხონოიანცს და მიუხედავად ამისა მათს შორის არავითარი, არამც თუ უკმაყოფილება, იჭვნეულობაც კი არა ყოფილა. მკვლელობის ღამეს კიოლ-ოღლის ერთს მისვე მეზობლად მცხოვრებ ქალისათვის მიუმართავს თხოვნით: ქსენიას რუსეთში წერილი მინდა მივწეროო, მე წერა არ ვიცი და დამიწერეო; ქალს უთქვამს, ხონოიანცი დაგიწერსო. ხონოიანცმა დაუწერა თუ არა წერილი კიოლ-ოღლის, ამის მოწამე არავინ არა სჩანს, არავინ არის აგრეთვე მოწამე მკვლელობისა, რომ ვისმე ნათლად ენახოს პოროტ-მომქმედი და აი ამიტომ გამოძიებას ეჭვი დაბადებია, რომ მკვდარზე ნახული წერილი ხონოინცის დაწერილია. საყვარელთან მინაწერი ბარათი ექსპერტებს შეუდარებიათ ხონოიანცის ნაწერთან და ის აზრი გამოუთქვამთ, რომ ეს ბარათი ნამდვილ ხონოიანცის ხელიაო. ხონოიანცი, როგორც კაცის მკვლელი, სასამართლოს პასუხის გებაში მიუცია და ხუთშაბათს კიდეც გაირჩა ეს საქმე. სასამართლოში საქმის გამოძიების დროს ეკითხა საქმის გარემოება 15 მოწამეს. სხვათა შორის, საყურადღებო ის არის, რომ ერთმა ექსპერტმა სასამართლოს გამოძიების დროს განაცხადა, რომ ეს ბარათი არა ჰგავს ხონოიანცის ნაწერს არასფრით და, ჩემის აზრით, მისი დაწერილი არ უნდა იყოსო. თვით ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ აღიარა. თითქმის ორი საათის თათბირის შემდეგ ოლქის სასამართლომ გამოაცხადა თვისი განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი ალექსანდრე ხონიანცი კიოლ-ოღლის განზრახ მოკვლის საქმეში და ჰიესაჯა ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლის ვადით გაგზავნა. ხონოიანცი მეტეხის ციხეშია დაპატიმრებული.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 ოქტომბერი

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის მოხსენებაზე, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა დასრულდაო, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და სტატს სეკრეტარს ვიტეს ამნაირი დეპეშა მისწერა:

„გულწრფელად გმადლობ სასიხარულო მოხსენებისათვის. გილოცავ მთელს ქვეყნიერობაზე უდიდეს რკინის გზას დასრულებას, რომელიც ასეთის სისწრაფით მალე დასრულდა.

ნიკოლოზი“.

ფინანსთა მინისტრის მოხსენება შემდეგი იყო: „1891 წ. 19 მაისს თქვენმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ საკუთარის ხელით დაიწყო ციმბირის დიდის რკინის გზის გაკეთება. დღეს თქვენის უდიდებულესობის ტახტზე ასვლის ყოვლად ბედნიერს დღეს ეს რკინის გზა დასრულდა. ვბედავ და წრფელის გულით მოგახსენებთ უქვეშევრდომილეს მოლოცვას ამ ღირს შესანიშნავ ისტორიულ დღის გამო. ზაბაიკალიდან ვლადივასტოკამდე და პორტ-არტურამდე ორიათას ოთხასამდე მეტი ვერსტის მანძილზე მანჯურიის რკინის გზა დავასრულეთ, თუმცა ჯერ ჯერობით სულ არაა დამთავრებული. თუმცა ბევრი დაბრკოლება გვხვდებოდა და თუმცა შარშანაც რკინის გზის უმეტესი ნაწილი ჩინელებმა დაანგრიეს, მაინც ეს მძიმე საქმე ჩვენ ოთხ წელიწადში დავასრულეთ. დღეიდან მთელ ამ გზაზე დროებითი მიმოსვლა დაიწყება. იმედი მაქვს, ორის წლის შემდეგ ყველა დანარჩენი საქმეები დასრულდება და ამ გზაზე მუდმივი წესიერი მიმოსვლა დაიწყება“.

შავ ჭირთან მებრძოლი კომისია აცხადებს: „რადგან ადგილობრივმა ექიმებმა კარგად ვერ გამოიკვლიეს ბათუმში აღმოჩენილი ორი საეჭვო ავადმყოფი, ამიტომ ხსენებულ ქალაქში გაგზავნეს კიევის უნივერსიტეტის სპეციალისტი ბაქტერიოლოგი პროფესორი ვისოკოვიჩი. კავკასიის მთავარ მართებელმა 26 ოქტომბერს დეპეშით შეგვატყობინა: „პროფესორ ვისოკოვიჩის აზრის თანახმად, პირველი ავადმყოფი, რომელიც გარდაიცვალა, რით იყო ავად ჯერ გამორკვეული არაა, რადგან მიცვალებული მეტის-მეტად გაიხრწნა. მეორე ავადმყოფს ჩირქია ჯირყვლები გასჩენოდა და შავი-ჭირის ნიშნები კი არა ჰქონდა. ამ მოხსენების თანახმად, რაკი მეორე ავადმყოფი შავი-ჭირით არა ყოფილა ავად, პირველი ავადმყოფის გარდაცვალების შემდეგ თორმეტ დღეზე მეტი გავიდა, და შავი ჭირი კი არავის გამოჩენია, კომისამ დაადგინა, ბათუმში მიღებული ყოველი სანიტარული ღონისძიებანი გააუქმოს“.

იაკუტსკი. ექსპედიციის წევრი გერცი სრედნი კალიმსში მოვიდა და აქედან მიდის იმ ადგილას, სადაც მამონტი აღმოაჩინეს.

პარიჟი. „მატენ“-ს ლონდონიდან ატყობინებენ, ოსმალეთის მთავრობამ ინგლისს დახმარება სთხოვა; ინგლისის მთავრობამ უპასუხა, რომ ინგლისი არ გაერევა მა საქმეში, რადგან ეხლანდელი განხეთქილება თითონ ოსმალეთის ბრალიაო. და თუ საფრანგეთი ოსმალეთის რომელიმე ადგილს კიდევ დაიჭერს, მაშინ ინგლისი მზად იქნება ოსმალეთს დაეხმაროსო.

კონსტანტინოპოლი. ხონთქრის სასახლეში ეგონათ, რომ საფრანგეთის ესკადრა შუა გზიდან უკან გაბრუნდაო, ამიტომ ძლიერ გაჰკვირდნენ, როცა შეიტყეს ესკადრა მიტილენში მოვიდაო. იმ სკოლებისა და დაწესებულებათა რიცხვი, რომლების ხელშეუხლებლობასაც საფრანგეთი თხოულობს, 600 მდე აღის. ოსმალეთის გაზეთების ცნობების თანახმად, ხონთქარმა ქალდეის პატრიარხად ემმანუილ თომა დაამტკიცა.

პარიჟი. აქაური პოლიტიკური წრეები ირწმუნებიან, რაწამს ხონთქარი შესაფერს ბრძანებას გამოსცემს, საფრანგეთის ესკადრა ოსმალეთის ზღვიდან გამოვაო. მაინც ესკადრა ოსმალეთის ნაპირებს არ მოსცილდება, ვიდრე პორტა თავის დაპირების შესრულებას არ შეუდგებაო.

ლონდონი. კორნუელსის ჰერცოგს უელსის პრინცისა და ჩესტერის გრაფის ხარისხი ებოძა.

პეკინი. აქ ბრძანება მიიღეს, რომლის ძალით პეჩილიის გუბერნატორი იუნშიკაი და ლი-ხუნ-ჩანგის მოადგილედ დანიშნული ვან-ვენ-შაუ რწმუნებულებად დაინიშნენ უცხოეთის ელჩებთან მოსალაპარაკებლად. ორივეს ებრძანა დაუყოვნებლივ პეკინში წავიდნენ. გამოვიდა მეორე ბრძანებაც, რომლის ძალით ლი-ხუნ-ჩანგს მარკიზის ხარისხი ებოძა და ეწოდა ლი-ვენ-ჩუნ.

რედაქტორი გამომცემელი
ალ. ჭყონია. ალ. ჯაბადარი.

ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—33)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Октября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა